# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 94 ხუთშაბათი, 30 აპრილი 1909 წ. № 94

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია [illegible] ხავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ზღლღ სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## კვირას 3 მაისს მუშტაიდის ბაღში

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

## დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

ლატარიაში, სხვათა შორის, ჩაგდებულია: საგარაკე მიწა ხადგურ სურამათისთან 300 ოთხ. საჟ., მვირფასი მხატვრული ხარაღ (შემოწ. კნ. ელის. მუხრან-ბატონისა), სრული სერვიზი ფაიფურისა (შემ. კნ. იულია თუმანიშვილისა), ძროხა, ვერცხლის ნივთები და სხვ.

**დილით** 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის გაიმართება

განსაკუთრებული სეირნობა

**ბავშვებისათვის**

მრავალის სხვა და სხვა გასართობით: კარუსელი.—სირბილი.—ბურთაობა.—ნიშანში სროლა.—ბოძზე აცოცება.—გადახტომა.—გაჯიბრება საჩუქრებით.—საჩუქარი საუკეთესოდ ეროვნულ ტანისამოსისთვის მუსიკა.

**საღამოს** 4 საათიდან 11 საათამდის

**დიდი სეირნობა და ლატარია**

დღეღი. მკითხაობა. ფოსტა.—კონფეტტი.—ყვავილების ბრძოლა.—პროეკციონი გარეთ ეკრანზე.

ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა.—საზანდარი.—მესტვირე.

ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ბავშვებისთვის 10 კაპ. ლატარიის ბილეთი 50 კაპ. (0—უ.—3)

---

## არტისტიულ საზოგადოების თეატრი წარმოდგენა № 15

პარასკევს, 1 მაისს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტი

ტასო აბაშიძის საბენეფისოდ

## რაინდი უშიშარი და გულმართალი

ოპერეტი 2 მოქმ. მუზ. ლეკოკისა თარგ. ვ. აბაშიძისა,

## ნ-ა-ტ-ვ-რ-ი-ს თ-ვ-ა-ლ-ი

(M a s c o t t e).

ოპერეტი კომ. 3 მოქმედ. მუზ. ედუარდ ოდრონისა თარ. ახნაზაროვისა.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

დირიჟორი **პოლ. ფალიაშვილი.**

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

შაბათს, 2 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

## პ ე დ ა გ ო გ ე ბ ი

კომედია 3 მოქმედ. ოტტო ერნსტისა, თარგმანი დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ამირაჯიბი, გოგოლაშვილი, მესხიშვილი და თამარაშვილი; ბ-ნნი: გოცირიძე, ადამიძე, მეტრეველი, ნარი, ბაქრაძე, ზურაბიშვილი, სვიმონიძე, ბეჟანოვი, ინაშვილი და ერისთავი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 10 მაისს.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში მოყვანა სრულებით აღკრძალულია.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.** (3—უ—1)

---

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ-ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილებ დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. მანავასთან. (23—121—22)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 52)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—66)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—116)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—112)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—135)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლების ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრი საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6—6)

---

ქუთაისის მთავრობის ქალთა

## გ ი მ ნ ა ზ ი ა

(რიონ-გაღმის ნაწილი, მესხეთის ქუჩა), ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1, 2, 3 და მეოთხე კლასებში და ეგზამენები მოწმობების მისაღებად დაიწყება ამა წლის 15 აპრილს, ეგზამენების დაწერილებით განაწილება გამოკრულია გიმნაზიაში. (3—6.—3)

---

## მაღაზია იკეტება 1 მაისს.

## ისარგებლეთ შემთხვევით!

საოცარი იაფი ფასები

## მ ხ ო ლ ო დ ! დ ღ ე ს

## 30 აპრილს.

ვაჭრობის მოსპობისა გამო.

## ძმ. ა. და ი. ალშვანგების მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე,

აბრეშუმის, ბატისტის ხალათებს, პენუარებს, მატინეს, ბავშვის ტანისამოსს, სალოფებს, კაპორებს, ქამრებს. **უკვე დაკლებულ ფასზე კიდევ დააკლდება.**

## 25%.

ყველა დანარჩენ საქონელს, მაგალითად—კაცის, ქალის და ბავშვის საცვალს, ტილოს, სუფრეულს, ჩულქებს, წინდებს და სხვებს.

**უკვე დაკლებულ ფასზე დააკლდება კიდევ 15%.** (4—6.—4)

---

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდთროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—49)

---

ქუთაისის ვაჟთა

## გ ი მ ნ ა ზ ი ა

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები 1 კლასში მოსამზადებელ კლასის მოწაფეთათვის და აგრეთვე გარეშე მსურველთათვის მოხდება ამა წლის 19, 20 და 23 მაისს, ზოლო გამოცდა შინ მომზადებულებისა, რომელთაც სურთ ამა თუ იმ კურსის ეგზამენი დაიჭირონ მოწმობების მისაღებად, მოხდება 15—31 მაისს. თხოვნები პირველ კლასში ეგზამენის დასაჭერად მიიღება 12 მაისამდე თხოვნასთან ერთად უნდა იყოს დაწესებული დოკუმენტები და ერთი ფოტოგრაფიული სურათი, შემოწმებული პოლიციის მიერ. თხოვნა უდოკუმენტებოდ და უსურათოდ უყურადღებოდ იქნება დატოვებული. (3—6.—3)

---

**ხუთშაბათს, 30 აპრილს,**

საღამოს 7 საათზე სამკურნალო საზოგადოების სადგომში, გიორგიევის ქუჩაზე, № 4, ალექსანდრეს ბაღში,

## ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე

**წაიკითხავს ლექციას**

## ჭლექის შესახებ,

**ბუნდოვანი სურათებით:**

ფასი: 50 კ. 30 კ. და 20 კ.

შემოსავალი დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების პირველ სამკითხველოს სასარგებლოდ. (უ. 3—3)

---

**ქართველთა ამხანაგობის სტამბის**

## ცინკოგრაფიამ,

რომელიც დროებით დახურული იყო, **კვლავ განაახლა მუშაობა** და ძველებურად კისრულობს ყოველ გვარ ცინკოგრაფიულ კლიშეების დამზადებას. (3—6.—1)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2¼—4 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი** —კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—33)

---

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

## დავკარგე

ბაქოს ქუჩიდან მიმავალმა ვოგზლის ქუჩაზე **მოწმობები სილარიბისა.** ვთხოვ მპოვნელს გადასცეს აფანასიევის ქუჩაზე იასონ ფანიევს. (1—უ.—1)


## ტფილისი, 30 აპრილი

გაზეთ „ივერიის“ პუბლიცისტები განაგრძობენ თავიანთ მიმართულების გამორკვევას და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკად უპირდაპირებენ ერთმანეთს „სოციალისტობას“ და „ეროვნულ მიმართულებას“. არა იმ განზრახვით, რომ ხელი შეუშალოთ ამ თვითგამორკვევის პროცესს, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ხელი შეუწყოთ მას, არ შეგვიძლიან აღუნიშვნელად დავტოვოთ ივერიელების უკანასკნელი ცდა, სოციალისტური მოძღვრება საქართველოში ისეთ უნიადაგო და ფუჭ საქმედ დაჰხატონ, რომელიც მხოლოდ „ეროვნულ მიმართულების“ აყვავებას და გაძლიერებას აბრკოლებს.

სოციალისტურ მოძღვრებას ყველგან მრავალი კრიტიკოსი და მრავალი მტერი ჰყავს. იმისი შეურიგებელნი მტერნი სხვა და სხვა მხრიდან უვლიან გარშემო ამ მშრომელ ხალხის ნუგეშს და მრავალგზის სცდილობენ მის დანგრევას. კრიტიკოსები ხშირად ბევრს დიდად საგულისხმო და ღრმად ნაფიქრ შენიშვნებს იძლევიან; ასეთი კრიტიკა სოციალისტურ მოძღვრების წინ ახალ-ახალ პრობლემებს აყენებს და ცხოველმყოფელობას შეჰმატებს სოციალურ აზროვნებას. სულ სხვა ხასიათისაა ის კრიტიკა, რომლითაც უმასპინძლდება თავის მკითხველებს გაზეთი „ივერია“. ამ გაზეთის პუბლიცისტებს არც ინდივიდუალიზმის მოხმარება მიაჩნიათ საჭიროდ „სოციალისტობის“ გადასალახად, არც ევოლიუციონიზმისა და არც რაიმე სხვა მოძღვრებისა. ისინი სრულიად მარტოკად და თავისებურად იგერიებენ თავიდან სოციალისტობას. ჩვენი ქვეყანა პატარა ქვეყანააო, ფიქრობენ და სწერენ „ივერიის“ პუბლიცისტები, ეკონომიურად იგი დამოკიდებულია რუსეთისა და ევროპისაგან; ამიტომ შეუძლებელია „სოციალისტობა“ ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში განხორციელდეს, ვიდრე ევროპა კაპიტალიზმს იცავს და ამიტომ, „რის ასრულებაც ჩვენ ხელთ არ არის, ღირს, განა, იმაზე თავის მტვრევა და მეცადინეობაო“.

სხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ კი ამ გვარი კრიტიკა მეტად ნაღვლიან ფიქრების გზაზე გვაყენებს. სრულიად მართალნი არიან „ივერიის“ პუბლიცისტები, რომ სოციალიზმის განხორციელება ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში წარმოუდგენელია, ვიდრე ირგვლივ სხვაგვარი სოციალური რეჟიმი ბატონობს; მაგრამ რომელ ქვეყნის სოციალისტებს ჰგონიათ, რომ მათს სამშობლოში დამყარდება სოციალიზმი იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში ისევ კაპიტალიზმი იქნება სრული ბატონი? ვინც ცოტათი მაინც იცნობს სოციალისტურ მოძრაობის ისტორიას, იმან კარგად იცის, რომ „სოციალისტობა“ და ინტერნაციონალობა ურთიერთისაგან განუყრელი ცნებები არიან. არავინ არ ფიქრობს, რომ ახალ სოციალურ წყობილებას ერთს რომელსამე ქვეყანაში განახორციელებენ სოციალისტები, მაგრამ აქედან არავის არ გამოჰყავს დასკვნა: რაც ჩვენ ხელთ არ არის, იმაზე თავის მტვრევა და მეცადინეობა არა ღირსო. ასეთი აზრი სოციალისმის მტრებს და პრინციპიალურ მოწინაალმდეგეებსაც არ უვლავს თავში სხვაგან; ეს აზრი მხოლოდ სოციალისმის ქართველ კრტიკოსებს მიაჩნდათ უძლეველ საბუთად. რატომ?—იმიტომ რომ მხოლოდ ჩვენისთანა დაბეჩავებულ ერის შვილს შეუძლიან, ისე ობლად ჰგრძნობდეს თავს, რომ საერთაშორისო სოლიდარობის აზრამდე ამაღლებას ვერ ახერხებდეს. არც ერთი იდეა და არც ერთი იდეალი არ არის თავის თავად შებოჭილი ნაციონალურ და ტერიტორიალურ საზღვრებით, მაგრამ არც ერთი იდეა და არც ერთი იდეალი არ არის მოწყვეტილი ნაციონალურ ნიადაგს და ტერიტორიულს საფუძველს. იდეის და იდეალის საყოველთაო ხასიათი ნორმალურ ადამიანის ნორმალურ შეგნებისთვის დაბრკოლება არ არის, რომ იდეა და იდეალი მომქმედ ენერგიად გადიქმნენ დროით, სივრცით და სხვა პირობებით შეზღუდულ ცხოვრების რეალურ ასპარეზზე. სულ სხვაა მონურ პსიხოლოგიურ პირობებში აღზრდილი ავადმყოფი სული ადამიანისა: იგი სნეულია თავის ობლობით და ხან იდეის ანუ იდეალის საყოველთაო ხასიათის გავლენით სამოქმედო ასპარეზის რეალურ პირობებს ვერა ჰხედავს, ხან კი ამ რეალურ პირობების გავლენით იდეას და იდეალს ვერა სწვდება. თვალის ავადმყოფობა ორ გვარია: ზოგჯერ სნეული თვალი შორსა ჰხედავს და ახლო კი ვერა, ზოგჯერ ახლო ჰხედავს, შორს კი ვერა. ჩვენისთანა დაბეჩავებულ ერში სწორედ ამ გვარივე ავადმყოფობა იკიდებს ფეხს: ზოგი სოციალისმის საყოველთაო ხასიათის გამო იმის სამოქმედო ასპარეზის ნაციონალურ და ტერიტორიულ პირობებს ვერ ამცნევს, ზოგი კი ნაციონალურ და ტერიტორიულ პირობების სანახაობით თავბრუ დასხმული სოციალისმის იდეამდე ველარ ახერხებს ფიქრის გადევნებას; ზოგი სოციალისმის სახელით ეროვნულ მიმართულებას ჰგმობს, ზოგი კი, პირიქით, ეროვნულ მიმართულების სახელით უარჰყოფს სოციალისმს

სოციალისმის წინააღმდეგ სხვა და სხვა გვარი თეორიული საბუთი შეიძლება იქმნას წამოყენებული, მაგრამ ეროვნულ ინტერესების ხელზე დახვევით სოციალისმის დაგმობას იმდენივე სიმართლე მიუძღვის, რამდენიც სოციალისმის ფრაზებში გახვევით ეროვნულ იდეალების უარყოფას. „ივერიის“ პუბლიცისტებს სულ ტყუილა უნებებიათ სოციალისმის და ნაციონალისმის იმ გვარი დაპირისპირება, თითქო ისინი აუცილებლივ ერთმანეთის უარმყოფელნი იყვნენ.

„რის განხორციელებაც ჩვენ ხელთ არ არის, იმაზე განა ღირს თავის მტვრევაო!“—„ივერიის“ პუბლიცისტების ეს სიტყვები ჩვენ სანიმუშო თქმად მიგვაჩნია. ამ სიტყვებში გამოხატული ვიწრო პრაქტიცისზმი მშვენივრად ჰხსნის ჩვენებურ უმოქმედობას და საზოგადოებივ ინდიფერენტიზმს. ივერიელებს საანბანო ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, რომ მხოლოდ იმას უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი, რის განხორციელებაც იმის ხელთ იმყოფება. მაგრამ რის განხორციელებაა ქართველ მოღვაწის ხელთ? განა ქართველ მოღვაწეს შეუძლიან მთავრობის დაწესებულებებში ქართულ ენის ხმარება შემოიღოს, განა შეუძლიან სკოლებში ქართული ენა შეიტანოს, განა შეუძლიან, საერობო თვითმმართველობა მოაწყოს!.. ყველაფერი ეს ისევე არ არის ჩვენ ხელთ,

როგორც სოციალიზმის განხორციელება, და „ივერიელები“ რომ ლოგიკურს ძაფს არა სწყვეტდნენ, ისინი ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე უარს უნდა ამბობდნენ. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ საზოგადოებრივ მოღვაწეობის შინაარსი შეუძლებელია იმ ადლით გამოიჭრას, თუ რა არის ჩვენ ხელთ და რა არა.

ოპორტუნისმის პროგრამა მხოლოდ იმას შეიძლება გამოადგეს, ვინც სხვა და სხვა მებრძოლ ძალებ შუა სდგას და თავის გადაწევა-გადმოწევით მარჯვნივ და მარცხნივ ხან ერთს მხარეს ანიჭებს გამარჯვებას, ხან მეორეს. „ივერიელებს“ ტყუილად ჰგონიათ, რომ ასეთ მდგომარეობაში იყოს ამ ჟამად ქართველი ერი. რუსეთის სახელმწიფოში მებრძოლ ძალთა გამარჯვება-დამარცხებისთვის თითქმის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა პოზიციებს დაიჭერენ ქართველი მოღვაწეები. ქართული ოპორტიუნისმი გაცილებით უფრო უნიადაგო და უტოპიური მიმართულებაა, ვიდრე თუნდ ქართული ანარქიზმი.

ოპორტიუნისტული პრინციპი, რაც ჩვენ ხელთ არის, იმას მოვეჭიდოთო, უარჰყოფს არა მარტო სოციალისტობას, არამედ უარჰყოფს აგრეთვე ყოველგვარ ეროვნულ იდეალების სამსახურს. ამიტომ „სოციალისტობის“ უარყოფა და ეროვნულ მიმართულების წინ წამოყენება „ივერიის“ მხრივ დაუსაბუთებელია. ნაციონალური იდეალები პირველ რიგში უნდა დავაყენოთ შრომის იდეალებთან ერთად, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეროვნულ იდეალების განხორციელება ჩვენ ხელთ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს მდგომარეობაში თეორიულად უძლეველი იდეიური პოზიცია უნდა ეჭიროს ქართველ ხალხს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის გაზეთებში მოთავსებულია ახლად-გამოჩეკილი პროექტი ცნობილ დეკანოზის ვოსტორგოვისა და იმის თანამგრძნობის მოსკოველი მისსიონერის აივაზოვისა, რომელშიაც შემუშავებულია სხვა-და სხვა ზომა სოციალ-დემოკრატიასთან საბრძოლველად.

პროექტში გამოთქმულია ის აზრი, რომ ეკლესსიამ და იმისმა მსახურებმა წმინდა ქრისტიანული მაგალითით უნდა აჩვენონ ხალხს და ამნაირად წიადაგი უნდა მოუსპონ ყოველნაირ მავნე პრაპაგანდასაო. სასულიერო პირებმა უნდა განავითარონ ქველ-მოქმედება, იზრუნონ ხალხის სულიერ კეთილდღეობისათვის, გაუხსნან მას სკოლები და წიგნსაცავ-სამკითხველოები, ნამდვილ ქრისტიანულ თანასწორობის საფუძველზე უნდა დაარსონ საურთიერთო დახმარების კასსები სოფლელთა და ქალაქელ მუშათა შორის და სხვა და სხვა.

როგორც მკითხველი ჰხედავს შავრაზმელი ვოსტორგოვი თავის ადიუტანტით უმწიკვლო მაღალ ფარდებში ნავარდობას შეუდგა და იქიდან ჩამონატყორცი განკარგულებით სამღვდელოების გაქრისტიანებას სცდილობს.

როგორ მკაფიოდ მოგვაგონებენ ისინი იმ გუბერნატორს, რომელსაც თავის სიცოცხლეში პირველად საზღვარ-გარედ გამგზავრება მოუხდა, იქაური წესწყობილებითა და წარმატებით, კულტურა—ცივილიზაციით საამოდ განცვიფრებული დარჩა და პარიზიდან საქართოდ დეპეშები გაუგზავნა რუსეთში ყველა თავის ხელქვეითი მაზრის უფროსს, ჩემ მიერ თქვენდამი ჩაბარებულ ყველა მაზრაში დაუყოვნებლივ ევროპიული კულტურა-ცივილიზაცია შემოიღეთო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 აპრილი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** ამბავი მოვიდა, რომ რეაქციონერებს 24 აპრილს უსკიუბში კონტრ-რევოლიუცია უნდა მოეხდინათო. ამასთან ტოტოვის მაზრის რეაქციონერებს რაღაც საიდუმლო მოლაპარაკებაცა ჰქონიათ. რამდენისამე დღის წინად დიბრიდან მთებში წავიდა 450 ალბანელი. ესენი აბდულ-ჰამიდის მომხრენი არიან. ამ ალბანელებს აზრადა აქვთ, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ ახალ რეჟიმს. აწყობენ ორგანიზაციებს.

სალონიკში მოვიდნენ ილდიზის ზოგიერთი მოსამსახურენი.

**სტამბოლი.** სულთანმა მთავრობას გუშინდელ ცერემონიის დროს წესიერების დაცვისთვის და ხალხს ოვაციების გამართვისთვის მადლობა გამოუცხადა. გაზეთები სავსეა გუშინდელ ამბების აღწერით. გაზეთები აღნიშნავენ სულთანის უბრალო ალერსიან მოქცევას.

დეპუტატთა პალატამ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება. როგორც ადანის ვალის მოხსენებიდან სჩანს, ადანის აწიოკების დროს მოუკლავთ: მაჰმადიანი 1300; ქრისტიანი 1400 კაცი; ორივე მხრივ დაჭრილა 800 კაცი. ამის შემდეგ პალატამ განიხილა ბეჭდვითი სიტყვის პროექტი. პალატამ მიიღო კანონ-პროექტის ის მუხლი, რომელიც ყველას, ვისთვისაც სამართლის უფლებები არ ჩამოურთმევია, ნება აქვს გამოსცეს გაზეთი. გირაო საჭირო არ არის. უარჰყვეს მთავრობის წინადადება, რომ გაზეთის გამომცემელმა გირაოდ 250 ოსმალური გირვანქა შეიტანოს, აგრეთვე არ მიიღეს „ტანინის“ რედაქტორის, დეპუტატ ჰუსეინ-ჯახიდის წინადადება, რომ გაზეთის გამოცემის უფლება მარტო ოსმალეთის ქვეშევრდომებს ჰქონდეთ და ისიც იმათ, ვისაც უმაღლესს სასწავლებლის დიპლომი აქვსო.

**სალონიკი.** მართლდება ის ხმა, რომ უსკიუბში კონტრ-რევოლიუცია უნდა მოეხდინათო. დააპატიმრეს სამი არტილერისტი და ერთი უნტერ-აფიცერი. შეთქმულებს უნდოდათ თურმე აეკლოთ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი, დაეტუსაღებინათ კომიტეტის მომხრე აფიცრები და სალდათები და თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ზარბაზნებისთვისაც კი მიემართათ. ოფიციალურად უარჰყოფენ შეთქმულებას, მაგრამ ამბობენ, რომ ჯარში შარიათის დასაცველად მოძრაობაა. იმავე დღეს დააპატიმრეს უსკიუბის ოთხი ხოჯა, ქალაქ ტეგოვის პოლიცმეისტერი და ეფენდორი. ეს უკანასკნელი დააპატიმრეს კიჩანაში. გუშინ და გუშინ-წინ უსკიუბში დიდი ჩხრეკა იყო, ბევრი დააპატიმრეს. მაკედონიაში მცხოვრები ოსმალები ძალიან მტრულად უცქერიან ახალგაზდა ოსმალებს. მაკედონიის ოსმალების აზრით, ამ უკანასკნელთა მოქმედება შარიათის და მაჰმადიანთა გრძნობის შეურაცხყოფაა! ამ მტრობას ის უფრო უწყობს ხელს, რომ აქ გადმოსახლებული მოღალატე სალდათები დიდ გაჭირვებაში არიან. მოღალატე სალდათები მაკედონიის ვილაეტების სხვა და სხვა სატუსაღოში არიან დამწყვდეულნი.

**სტამბოლი.** ტრაპეზუნდსა და ბრუსსიდან იუწყებიან: ძველი რეჟიმის უკანასკნელ დღეებში ადგილობრივ ვალის და რედიფების უფროსებს სულთნის სასახლიდან ბრძანება მიუღიათ, ააწიოკეთ ქრისტიანებიო. ამას ხელი შეუშალა მაკედონიის ჯარის მოსვლამ. როგორც ბეირუთიდან იუწყებიან, ადანის აწიოკება ასეთისავე ბრძანების შედეგი ყოფილა. აწიოკების დაწყებისას ქრისტიანები მაჰმადიანებს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ჯარის მისვლისთანავე წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა, რადგან ჯარი მაჰმადიანებს მიემხრო. ადგილობრივ კონსულებს ჯერ-ჯერობით მთავრობისთვის არ უცნობებიათ, მოელით თუ არა რამე ხიფათი ანატოლიის ქრისტიანებს.

### სპარსეთი

**რუსის ჯარის ბანაკი** (თავრიზთან). რადგან პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა სათარხანის ნახვა მოისურვა, სათარ-ხანმა აუსრულა მას სურვილი და რუსის ჯარის ბანაკში თავის ეტლი გაუგზავნა. კორესპონდენტს სათარ-ხანმა შემდეგი განაცხადა: რუსებს ჩვენ ძვირფას სტუმრებად ვთვლით, რადგან ისინი ღარიბ მცხოვრებთა საშველად მოვიდნენ. პირადად ჩემთვის არაფერი არ მინდა, მე მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს—ხალხის კეთილდღეობა. შაჰისა არაფერი გვჯერა, რადგან მან თავისი სიტყვა გასტეხა. შაჰმა თავის მოქმედებით ააოხრა სპარსეთი, გააღარიბა ხალხი, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს. ეხლანდელ შაჰს ჩვენ არაფერს ვსთხოვთ, ჩვენ გვინდა, რომ მან თავის მამის კონსტიტუცია აღადგინოს, მაგრამ ერთის პირობით: სახელმწიფოებმა გარანტია მოგვცენ, რომ ეს კონსტიტუცია უზრუნველ-ყოფილი იქნება. სანამ ამ კონსტიტუციას არ აღადგენენ, იარაღს არ დავყრით, იარაღი კი საკმაო გვაქვს, რადგან თავრიზის თოფ-ხანა ჩვენ ხელშია. თუ წესიერება ჩამოვარდება და შაჰი მომიწოდებს, რომ ვემსახურო, დიდის სიამოვნებით ავასრულებ იმის თხოვნას.

**თავრიზი.** ეინუდ დ უვლე სპარსეთის უახლესი რაზმით ბასმინჯიდან საჩქაროდ მიდის თეირანში.

რუსეთის რაზმის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კარნაუხოვი რამდენიმე აფიცრით ბასმინჯაში წავიდა ეინუდდოვლესთან სალაპარაკოდ.

რადგანაც ჯულფის გზა გაიხსნა, თავრიზში უოველ დღე რამდენიმე ასი დატვირთული აქლემი მოდის.

**მაინის-ფრანკფურტი.** „ფრანკფურტერ-ცაიტუნგის“ თეირანელ კორესპონდენტის ცნობით, რევოლიუციონერები თხოულობენ, რომ შაჰმა თავისი რამდენიმე დაახლოვებული პირი გასცეს, ან რამდენიმე წლით თვითონ მიატოვოს სპარსეთი. თეირანი გარშემორტყმულია. ეშინიათ სისხლის ღვრა არ მოხდეს.

### საზღვარ-გარედ.

**ბუენოს-აირეს.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მიწათ-მოქმედების მინისტრს მიმართა, რომ სანამ იმისთანა კანონს შევიმუშავებდეთ, რომლითაც ქვეყანა უზრუნველყოფილი იქნება საშიშ და სახიფათო ემიგრანტების დასახლებით, მანამდე დიდის სისასტიკით აასრულეთ 1876 წ. კანონიო. ამ კანონით ყველა ემიგრანტი მოვალეა წარადგინოს მოწმობა, რომ იგი კარგის ყოფა-ქცევისაა და მუშაობის უნარი აქვს.

**სეისტანი.** გაიარა ქარავანმა, რომელსაც ავღანისტანში კონტრაბანდა მიაქვს. კონტრაბანდა 400 მეტი აქლემით მიაქვთ. მიაქვთ აგრეთვე იარაღი. ადგილობრივმა მთავრობამ ვერ შესძლო ქარავანის გაჩერება.

**გონგკონგი.** გუანდუნის გუბერნატორი იტყობინება, რომ ცოკროგუა და გატლუში არეულობააო. აღელვებული სალდათები მეამბოხეებს შეუერთდნენ. წესიერების აღსადგენად კონტონიდან ჯარი გაიგზავნა.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის სახელზე: ჩვენ შესაძლებლად არ მივიჩნიეთ დავამტკიცოთ პროექტი საზღვაო შტაბის შტატების შესახებ, ამიტომ განდობთ, რომ საზღვაო და სამხედრო მინისტრებთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში განსაზღვროთ სამხედრო და საზღვაო უწყებების საქმეები და შეიმუშაოთ ის, თუ რა საქმეები უნდა გადასწყდეს მარტო ჩვენ მიერ და რა საქმეები უნდა განიხილონ საკანონმდებლო დაწესებულებებმა და მერე ჩვენ წარმოგვიდგინეთ დასამტკიცებლად. შეიმუშავებთ თუ არა ამ საქმეს, მინისტრთა საბჭო განიხილავს მას და ჩვენ მიერ დამტკიცების შემდეგ მითი იხელმძღვანელებთ. სამინისტრო, რომელიც თქვენის თავმჯდომარეობით მოქმედებს, ეხლანდელ წესწყობილების განმტკიცებას ემსახურება და ჩვენ მიერ მოწონებულია, რაიც საბუთს გვაძლევს ვიმედოვნოთ, რომ ჩვენი დავალება კარგად იქნება შესრულებული.

**პეტერბურგი.** გაზეთ „რუსკ. ზნამ.“-ს რედაქტორი დუბროვინი და „პრავდა ჟიზნისა“—კირილოვი სამას-სამას თუმნით დააჯარიმეს. მიზეზი-მეთაური წერილებია, რომლებშიაც ადმინისტრაციას ცილსა სწამებდნენ.

**სიმფეროპოლი.** ბახჩისარაიში თათრებმა მოჰკლეს ბოქაული. მიზეზი არავინ იცის.

**ნოვოჩერკასკი.** ბეზპალკოვკაში უცნობებმა გასცარცვეს სახაზინო დუქანი და სჰრეს მედუქნის ცოლი.

### სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სახალინის შესახებ.**

2[illegible] აპრილს [illegible] სახელმწიფო სათათბირომ განიხილა კანონ-პროექტი პრიმორსკის ოლქის და კუნძულ სახალინის ადმინისტრატიულად მოწყობის შესახებ. მთავრობას განუზრახავს ამ ოლქებში თავისებური რეფორმა, ესე იგი მოხელეების გამრავლება. ამ „რეფორმისთვის“ ერთ დროულად კანონ-პროექტით საჭიროა 692,000 მანეთი, ხოლო ყოველ წლიურად 57,000 მანეთი. ოქტომბრისტების და მემარჯვენეთა ორატორებმა მოიწონეს ეს კანონ-პროექტი, ხოლო მემარცხენე ორატორებმა სთქვეს—მთავრობას აზრადა აქვს ხალხის ფულით მხოლოდ მოქრთამე მოხელეები გაამრავლოსო.

ბოლოს სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი და ამასთან იგი სასწრაფო საქმეთაც იცნო. სათათბიროს აზრით, მოხელეების გამრავლებით სახალინი აყვავდება და აღორძინდება...

**საგანგებო ხარჯთ აღრიცხვა სამხედრო სამინისტროსი.**

საღამოს სხდომაზე სახელმწიფო სათათბირომ განიხილა სამხედრო სამინისტროს საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის. ამ ხარჯ-აღრიცხვით სამხედრო სამინისტროსთვის წინად გადადებულ რამდენიმე ასს მილიონს გარდა, უნდა კიდევ გადაიდოს 88,484,000 მანეთი. საბიუჯეტო კომისიამ ცოტათი შეამცირა ეს თანხა.

კამათი ამ კანონ-პროექტის შესახებ ბევრი არაფერი ყოფილა.

პოკროვსკი მეორე შეეხო რუსეთის მიერ სპარსეთში ჯარის გაგზავნას. ორატორმა სთქვა: მთავრობამ მილიარდები დახარჯა იაპონიის ომზე; წააგო ეს ომი; დიდი სირცხვილი სჭამა ცუსიმასა და მუკდენში და მაინც ეს მთავრობა ავანტიურისტობაზე ხელს არ იღებს. ასეთი ავანტიურისტობაა სპარსეთში ლიახოვის მისაშველებლად გენერალ სნარსკის ჯარის გაგზავნა. რუსის მთავრობა ვერ იცავს რუსეთის სახელსა და ღირსებას ევროპის სახელმწიფოებთან შეტაკების დროს და ამავე დროს ეპოტინება პატარა მეზობელ სახელმწიფოს, რომლის ხალხიც მეგობრულ განწყობილებაშია ჩვენთან. რუსის მთავრობამ ჩაახრჩო შინ რევოლიუცია და ეხლა სპარსეთში გაჰგზავნა თავისი ჯარი, რომ მხარი

## ფელეტონი

### ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

**ცოტა რამ ესთეტიურ გრძნობათა ცხოვრებიდან.**

ვისაც კაცობრიობის სულის ისტორიულ განვითარებისთვის თვალყური უდევნებია, ადვილად შეამჩნევდა ერთს საკვირველს და საინტერესო მოვლენას: მეტის მეტს სიჩქარეს და ინტენსივობას ინტელექტუალურ მხარის განვითარებაში, რომელსაც შესამჩნევად უკან რჩება სულიერ ცხოვრების ემოციონალური ნაწილი. თითქო ფსიხიურ ენერგიის მთელი ძალა იქით იყოს მიმართული, რომ შეჰქმნას ახალ-ახალი ინტელექტუალური ღირებულებანი, ახალ-ახალი წარმოდგენანი და ცნებანი მეტაფიზიკურ, მეცნიერულ და პრაქტიკულ ხასიათისა, გაამდიდროს და გაამრავალფეროს მხოლოდ ჩვენი გონების ბატონობის სფერა. კლასიკურ კულტურის მიერ ნაანდერძევ მეცნიერებათაგან მხოლოდ ორი გადაურჩა ამ სულიერ ევოლუციის გავლენას და დაახლოვებით თავისი პირველ-ყოფილი სახე შეირჩინა: არისტოტელის ფორმალური ლოღიკა და ევკლიდის ელემენტარული გეომეტრია. დღეს ყველასათვის, ვისაც კი ფეხი შეუდგამს მეცნიერების ლაბირინტში, ცხადია შედეგი ამ მოვლენისა: ზოგი მათგანი მომწყვდეულია ერთს კუნჭულში, ზოგი ფუსფუსებს მეორეში, რომ მას ერთი უჯრედი კიდევ შეჰმატოს. არიადნას ძაფი კი თითქოს ყველამ დაჰკარგა: აღარც ოსტატი არის სადმე, რომელმაც არისტოტელივით ან ლეიბნიცივით მთელი შენობის გეგმა და წყობილება თუ არა, ძირითადი სქემა მაინც იცოდეს. მარტო მეცხრამეტე საუკუნემ რამდენი შესძინა ამ მხრით ცნობიერების მაძიებელ კაცობრიობას: მთელი რიგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ახალი დარგნი ბუნების მეტყველებისა, რომელთაგან თვითეული საკმაოა რომ ადამიანის მთელი ცხოვრება დაიკავოს, მეცნიერული სისტემები და თეორიები, აღჭურვილნი ფაქტებისა და ცნებების თვალ-უწვდენელ რიცხვით.

დამისახელეთ, პირიქით, თუნდ ერთი გრძნობა, აფექტი ან სულიერი წყობილება, რომელზედაც შეგვიძლიან ვსთქვათ: აი ის გრძნობა ჩვენია, ჩვენ მიერ შექმნილი, ჩვენ განვიცადეთ პირველად მისი სიმწარე ან სიტკბოება, ჩვენ შევმატეთ ის სულიერ ღირებულებათა სალაროსო; შევმატეთ ისე, როგორც, მაგ., დარვინმა და უოლესმა—ევოლუციონური თეორია, ფეხნერმა და ვუნდტმა—ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია, სპენსერმა—სოციოლოგიური სისტემა, კლაუზიუსმა და ტომსონმა—სითბოს თეორია, ოსტვალდმა—ფიზიკალური ქიმია, ფარადეიმ და მაქსველლმა—ახალი ძირითადი ფიზიკალური შეხედულებები და ელექტრო-მაგნეტიური თეორიები. თითქო შეუძლებელი იყოს შემოქმედება გრძნობათა ცხოვრებაში! თითქო კაცობრიობას დასაბამითვე ბედისწერის მიერ ერთი და იგივე სიძულვილი და სიყვარული, სევდა და კაეშანი, ტანჯვა და სასოწარკვეთილება, მწუხარება და სიხარული, სიამაყე და თავმდაბლობა ჰყავდეს დანიშნული მუდმივ და განუყრელ თანამგზავრად, მის გრძნობათა ცხოვრების უნაყოფობის და სიღარიბის ცოცხალ მოწამედ.

ეს აზრი ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი ნაწილია და მას ცალმხრივად და მახინჯად ანათებს; თუ თქვენს ფსიხიურს გამოცდილებას მიუბრუნდებით, ადვილად აღმოაჩენთ მეორე ნაწილსაც, უფრო მნიშვნელოვანს, მაგრამ პირველის საწინააღმდეგოს: ის გეტყვით, რომ არც ერთი მხარე ადამიანის სულისა არ არის ისე მდიდარი, მრავალ-ფეროვანი, ღრსავსე ხშირად ფარულისა და იდუმალის, ხშირად მუნჯისა და გამოუთქმელის, ხშირად უცხო და მოულოდნელის ნაკვთებით, როგორიც აფექტთა, გრძნობათა და სულიერ წყობილებათა ცხოვრება. ესეც ერთი უცნაური ანტინომია ადამიანის სულისა!

**1.**

ადამიანის ინდივიდუალობას და განუმეორებლობას არაფერი არ ახასიათებს ისე აშკარად, როგორც მისი გრძნობები. ჩემი გრძნობა არის **ჩემი გრძნობა**, ჩემი განუყოფელი საკუთრება, ჩემი მუდმივი და განუყრელი აჩრდილი, რომელსაც ვერსად გავექცევით, რომელიც ყველგან არის, სადაც არის ჩემი მე: ყველგან და არსად ერთსა და იმავე დროს! ჩემს სევდას მე ვერსად გავპარები, ვერც ხელს ავაფარებ ჩემს სიამაყეს, ვერც გულის-ყურს დავუცობ ტანჯვას, მწუხარებას დაკარგულ ბედნიერებაზე!.. ისე როგორც შემიძლია ხელი ავაფარო მაბეზარა ფერს ან სინათლეს, ხმას ყური დავუცო, იმ პაპანაქება სიცხეს გავექცე და თავი ჩრდილს შევუფარო. ხშირად ისინი მოულოდნელად, ჩვენი ნების-ყოფის დაუკითხავად ამოცოცდებიან ხოლმე ჩვენსავე სულის ბნელ და იდუმალ სიღრმიდან, პირზე შავ-ნილაბ აფარებულნი, უცხონი და საშინელნი, მასთან ჩვენივე სულის ღვიძლი შვილნი, აღჭურვილნი ელემენტალურ, უსაშუალო სიძლიერით. უდიდესნი ჩვენ შორის ჰგრძნობენ მთელ ტრაგიზმს ამ უძლურებისა და მათგან დამოკიდებულებისა:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად
წინამძღვრად,
ჩემი გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?

ან და ჰქრებიან ისევე მოულოდნელად და ფარულად. ხშირად თან მიაქვთ უკეთესი, უმშვენიერესი ნაწილნი ჩვენის სულისა, სარწმუნოებრივი გრძნობა, იმედი ბედნიერ მომავლისა, აღმაფრენა ფრთა გაშლილ ჭაბუკობისა, სიყვარულის ალმგზნები ალი, ტანჯვის გამოუთქმელი სიტკბოება. სად არის მეორე ძალა, რომელსაც შეეძლოს შეავსოს აუტანელი სიცალიერე, გაანათოს სამარისებური მყუდროება უგრძნობის სულისა? ან თვით ისინი სად არიან გარეშე იმავე მესი, რომელიც ამაოდ მათ ეძახის, მათკენ ხელს იწოდებს?

სად არს ალმტაცის სიყვარულის ტანჯვა,
სამოთხე?..
ჰკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა.
ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ
ტრფობასა,
მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა
ტაძარი.

ამავე მდგომარეობას კიდევ უკეთესად ჰხატავს მგოსანი მეორე ალაგას:

დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში:
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

და მართლაც: წაართვით ადამიანს მისი გრძნობები და თქვენ წაართმევთ და თან გაიყოლიებთ იმის ადამიანობის უუდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს — საძირკველს მისის თავისებურობისას, მისის განუმეორებლობისას, მის სულიერ ბეჭედს, რომელიც ყველაზედ უფრო ასხვავებს და აცალკევებს იმის მეს ამ ქვეყანაზე. ამოაცალეთ ნაპოლეონს დიდების სიყვარული, ჩეზარე ბორჯიას—შეუბრალებლობა და მუხანათობა, ბაირონს და ბარათაშვილს—მსოფლიო გოდება, შოპენჰაუერს — პესიმისტური სულიერი წყობილება, კორიოლანუსს —სიამაყე, ოტელლოს—ბავშვური გულუბრყვილობა შეერთებული იჭვიანობასთან და ველურ ვნებათა ღელვასთან, რიჩარდ მესამეს—ავაზაკური გაიძვერობა, რომეოს და ჯულიეტას—სიყვარულის სინაზე, განდეგილს—სარწმუნოებრივი გრძნობა, დიმიტრი თავდადებულს—სამშობლოს უზომო სიყვარული და ხელში შეგრჩებათ სიწვრილმანე იქ, სადაც სიდიადე იყო, უფერულება იქ, სადაც მრავალფეროვნება ბატონობდა, უსახელო ადამიანი იქ, სადაც სახელოვანი და ბრწყინვალე პიროვნება იყო. პიროვნება კუნძულია, კუნძული ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში და მისი საზღვრები იწყება იქ, სადაც მისი გრძნობები იწყება.

ჩვენი აზრები, ცნებანი და წარმოდგენანი, ჩვენი ფილოსოფიური, მეცნიერული და პრაქტიკული შეხედულებანი, რელიგიური და პოლიტიკური რწმენანი უფრო იმ ცვალებად სოციალურ და ბუნებრივ წრეს ახასიათებენ, რომელშიც ჩვენ ვტრიალებთ, ვიდრე ჩვენის პიროვნების უცვლელ დედა არსს. გარეგნულ შთაბეჭდილებათა და შეგრძნებათა საძირკველზე აგებულნი, ისინი ხშირად მოგვითხრობენ პიროვნების აღზრდის და იმის განსაკუთრებულს ბედის ისტორიას: ისინი გვასწავლიან, თუ როგორ მოხდება ხოლმე, რომ პიროვნების აზრთა და შეხედულებათა მთელი სისტემა ისე იცვლება, ისე სხვაფერდება, რომ პიროვნება თავის თავს დაჰკარგავდა, მე თავის მეს ვერ იცნობდა, გრძნობათა თან და თანობა და იგივეობა რომ არ შერჩენოდა,—ან გაილესებოდა სოციალურ ჯგუფში, რომელიც ხშირად მასსავით აზროვნებს და ფიქრობს, თავისი ინდივიდუალური სული გრძნობათა ცხოვრებაში რომ არ აღბეჭდა.

**2.**

ენის სიღარიბეს და სიმარტივეს არსად არა გრძნობს ადამიანი ისე

დაუჭიროს აზიელ მტარვალს, რომელსაც ხალხი თავისუფლებისთვის ებრძვისო.

სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი.

**მაჰმადის სჯულის სწავლება ორენბურგის სამასწავლებლო სემინარიაში.**

წაიკითხეს კანონ-პროექტი ორენბურგის სამასწავლებლო სემინარიაში მაჰმადის სჯულის სასწავლებლად ხაზინიდან წელიწადში 600 მანეთის გადადების შესახებ.

მაჰმადიანთა ფრაქციის სახელით ენიკეევმა სათათბიროში შემდეგი განცხადება შეიტანა: მაჰმადიანები ზნე-ჩვეულებით, ეთნოგრაფიულისა და სარწმუნოებრივის თავისებურობით ძალიან განირჩევიან სხვებისაგან, ამიტომ მათთვის დიდად საჭიროა სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები. მასწავლებელ-მაჰმადიანთათვის საჭიროა იცოდნენ არა მარტო თავიანთი სჯული, არამედ სამშობლო ენაც, ის ენა, რომელიც მათ სკოლებში უნდა ასწავლონ მაჰმადიანებს. მაჰმადიანთა ფრაქციის აზრით, საკმაო არ არის მარტო 600 მანეთის გადადება სჯულის სასწავლებლად. საჭიროა: 1. სამასწავლებლო სემინარიების დაარსება მაჰმადიანთათვის; 2. ამ სემნარიების დაარსებამდე შემოღებული იქნას სამშობლო ენის სწავლება ორენბურგის სემინარიაში; 3. იმავე ორენბურგის გიმნაზიაში ახლად შემსვლელთ მოეთხოვოთ ცოდნა სამშობლო ენისა და სჯულისა (უნდა იცოდნენ იმდენი, რამდენსაც მაჰმადიანთა პირველდაწყებით სკოლაში ასწავლიან) და 4. მაჰმადის სჯულის სწავლებას სემინარიში ხელმძღვანელობდეს მაჰმადიანთა სასულიერო გამგეობა.

ამ განცხადებამ ძალიან გააბრაზა პურიშკევიჩი. თვით-გამორკვევა და ამისთანა რამეები არ შეიძლებაო. მაჰმადიანები და ყველა სხვა ერები უნდა გარუსდეთო. ამას გარდა პურიშკევიჩმა სთქვა, რუსეთში მაჰმადიანი ერი არ არის და, მაშასადამე, არც მაჰმადიანური ენააო. ამაზე მაქსუდოვმა მიუგო, რომ რუსეთში მცხოვრები მაჰმადიანები თითქმის ყველანი ოსმალო-თათრების ტომს ეკუთვნიან და ყველანი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, რაც თქვენ თქვენის უვიცობით არ იცითო.

სხდომა 30 აპრილისთვის გადაიდო.

## ლოპუხინის საქმე

(პეტერ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პეტერბურგი.** სენატის საგანგებო სასამართლო შეუდგა პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ლოპუხინის საქმის გარჩევას. ლოპუხინი აზეფის საქმის გამო იყო სამართალში მიცემული. საქმე ირჩევა დიტეინის პროსპექტზე, სასამართლოს დაწესებულებათა დარბაზში. თავმჯდომარეობს სენატორი ვარვარინი. სენატორებს გარდა სასამართლოს წევრებად წოდებათა წარმომადგენლებიც არიან. ბრალს სდებს პროკურორის ამხანაგი კორსაკი, იცავს ვექილი პასოვერი. სასამართლოს დარბაზი სავსეა ხალხით. მოწმეთა შორის არ გამოცხადნენ რაჩკოვსკი, გერასიმოვი, რტაევი და ოდარჩენკო. ამათი დაუსწრებლობა სასამართლომ შეიწყნარა.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ ლოპუხინს შეეკითხნენ, სცნობ თუ არა თავს დამნაშავედაო, მაგრამ მან უარი განაცხადა: მე თავს დამნაშავედ არა ვცნობო.

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა გამოკითხვას. ჟანდარმის როტმისტრმა ანდრეევმა სთქვა, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია აზეფის მოქმედების გამომჟღავნების დროს უმთავრესად ლოპუხინის ჩვენებას დაემყარა და არა ბაკაისა და ბურცევისასო. ეს ანდრეევი საიდუმლოდ ყოფილა გაგზავნილი საზღვარ-გარედ, რომ თვალ-ყური ედევნებინა ლოპუხინისათვის.

მეორე მოწმემ ზუბატოვმა დაახასიათა აზეფის მოღვაწეობა დამცველ პოლიციაში სამსახურის დროს. აზეფის ჩვენებით, ბევრი რევოლიუციონერი დაატუსაღეს და იმისავე მეოხებით ბევრი პოლიტიკური მკვლელობა იქმნა თავიდან აცილებულიო.

სასამართლომ გამოაქვეყნა საქმის გარჩევის დროს დაუსწრებელ მოწმეთა ჩვენება. ამ მოწმეების სიტყვით, აზეფი შევიდა სოციალისტ-რევოლიუციონერების მებრძოლ რაზმში. იმის დახმარებით ბევრი პოლიტიკურ ბოროტმოქმედების ჩანდენი გამოაშკარავდაო.

მოწმე ურუსოვმა (შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი), მოიგონა ლოპუხინის საუბარი მასთან. ლოპუხინს ეთქვა ურუსოვისათვის: აზეფი და გერასიმოვი ჩემთან იყვნენ და ამის შემდეგ განსაცდელი მომელისო. ამას გარდა ურუსოვისათვის ლოპუხინს ისიც უთქვამს, რომ ლონდონში ყოფნის დროს შევხვდი რევოლიუციონერ ბურცევს, რომელსაც საიდუმლოდ შევატყობინე, რომ აზეფი დამცველ პოლიციის აგენტიაო.

რამდენიმე მოწმის გამოკითხვის შემდეგ სასამართლოს წინაშე წარსდგა შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი. ამან დაახასიათა ლოპუხინის მოღვაწეობა, და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ლოპუხინი მიმართულებით ზომიერი ლიბერალიაო.

მოწმეებმა რუზსკიმ და ჟდანოვმა სთქვეს, ლოპუხინი ლონდონში წავიდა ცენტრალურ ბანკის საქმეების გამოო.

სხდომა გადაიდო.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ თავდასხმა.** 28 აპრილს, როგორც გვატყობინებენ, თავ. შერვაშიძის მამულს, ბეთანიას, რომელიც რომელიც პრიუტიდან (მანგლისის გზა) შვიდი ვერსის მანძილზე მდებარეობს, თავს დასცემია თათართა ბრბო და გაუცარცვნია იქ მყოფნი. თათრებისთვის წინაალმდეგობა გაუწევიათ, მაგრამ მათ თოფების სროლა აუტეხნიათ. არიან თურმე მოკლულნი. თავ-დამსხმელთ წაუღიათ ასს თუმანზე მეტი.

**✦ პოლიციის გაძლიერება.** „ბათუმ. ნოვოსტ“-ის სიტყვით, მთავრობის მაღალ წრეებს განუზრახავთ, ამიერ-კავკასიის დიდ ქალაქებში გააძლიერონ პოლიცია. მიზეზად ბოროტ-მოქმედების გაძლიერებას ასახელებენ.

**✦ გადადგომა.** „კასპის“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ხმა დადის, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწენი გენერალი შატილოვი და სენატორი მიცკევიჩი თანამდებობა თავს ანებებენო“.

**✦ მოწოდება დახმარების შესახებ.** მივიღეთ გერმანიიდან შემდეგი მოწოდება: „ოსმალეთში მომხდარ კრიზისის შედეგია—ფანატიკოს ბრბოების მიერ ჩადენილი საზარელი ბოროტ-მოქმედება კილიკიაში, ადანასა და ტარსუსში. გაზეთების ცნობებით მსხვერპლთა რიცხვი ათი-ათასობით ითვლება. გერმანიის დამხმარე კავშირმა (მაინის ფრანკფურტი, ფიურსტენბერგერშტრასსე, № 151), რომელმაც დაუყოვნებლივ შოაწყო დახმარების საქმე, მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ადანაში საალყო მდგომარეობაა, ოცი ათასი კაცი ცის ქვეშაა დარჩენილი, დაჭრილთა და ავადმყოფთა რიცხვი 1400-ა. ტარსუსში ათი-ათასი უბინაო ითვლება, ლაკადიაში—6000, წისქვილები და პური გადამწვარა. შიმშილობაა. სიცხეებმა მრავალი სნეულება გამოიწვია. საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება“. მოწოდება აღმოსავლეთში ქრისტიანულ საქმის დამხმარე გერმანიის საზოგადოებას ეკუთვნის.

**✦ სოფლელთათვის ვაჭრობის აკრძალვა.** ტფილისის მახლობლად მდებარე სოფლებიდან მცხოვრებთ ყოველ დღე მოაქვთ ბაზარზე სანოვაგე—ყველი, კვერცხი, ქათამი და სხვა. ესენი ტფილისელ ვაჭრებზე გაცილებით უფრო იაფად ჰყიდიან სანოვაგეს. სოფლელებს სავაჭრო ადგილად დიდი ხანია არჩეული აქვთ პუშკინის ქუჩა, სასულიერო სემინარიის გვერდით. ამ დღეებში მესამე ნაწილის ბოქაულმა ამ ადგილას ვაჭრობა აუკრძალა სოფლელებს. ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი აცნობა პოლიცმეისტერს და სთხოვა, სოფლელებს ნუ დაუშლით პუშკინის ქუჩაზე სანოვაგის გამოფენას და ვაჭრობასაო.

**✦ ქართ. წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 6 მაისს, ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“, პ. ირეთელისა.

**✦ ექსკურსია.** საზაფხულო ვაკაციების დროს ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მეექვსე-მეშვიდე კლასის მოწაფენი გაემგზავრებიან საექსკურსიოდ ახალ ათონში. ექსკურსია გზა და გზა დაათვალიერებს ბათუმს და დასავლეთ საქართველოს ქალაქებს. ექსკურსიას ხელმძღვანელობას გაუწევს ერთი მასწავლებელი. რკინის გზის გამგეობას უკვე სთხოვეს, რომ მგზავრებს შეღავათი მისცეს.

**✦ სომეხ მოღვაწეთა დაპატიმრება.** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ამ ორი დღის წინად ერევანში მრავალი სომეხი გაუჩხრეკიათ. დაუპატიმრებიათ 45 კაცამდე. ამათგან ბევრია პედაგოგი, ნაფიცი ვექილი და კულტურულ დაწესებულებაში მოღვაწე. გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ სომხები აგრეთვე ყარსსა, ბათუმში და ფოთში.

**✦ იჯარით მიწები.** კოჯრის გზა-ტკეცილის პირად, ბოტანიკურ ბაღის თავში, 20 კაცს იჯარით აუღია სახაზინო მიწები სახლების ასაშენებლად. მოიჯარადრეებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს, ნება მისცენ აავონ სახლები.

**✦ ეგზამენები.** ქალაქის მასწავლებელთა კომისიის დაადგენილებით, ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლების უფროს კლასებში ეგზამენები დაიწყება 21 მაისს. ქალაქის სკოლების მოსწავლეებს დაითხოვენ პირველ ივნისს.

**✦ შრომის ბირჟა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ სთხოვა მოსკოვისას, გამოუგზავნოს მასალა მოსკოვში არსებულ შრომის ბირჟის შესახებ. როგორც ვწერდით, ტფილისში შრომის ბირჟას ამ ცოტა ხანში დააარსებენ.

**✦ „ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ ორი წიგნი № 4 (მოზრდილთათვის) და № 8 (მცირე წლოვანთათვის). ამ ნომრებში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები, წერილები და თარგმანები ვაჟა-ფშაველასი, ცქვიტისა, შანშიაშვილისა, ევდოშვილისა, განდეგილისა, თ. რაზიკაშვილისა, თომაშვილისა, კანდელაკისა, მიქაბერიძისა, ანტონოვსკისა და სხვათა.

**✦ შინამრეწველობა თიანეთისა და დუშეთის მაზრებში.** ტფ. გუბერნატორს ნამესტნიკის კანცელარიისთვის განსახილველად გადუცია მოხსენება დუშეთის და თიანეთის მაზრებში შინა მრეწველობის განსავითარებლად საქსოვ-სართავ სახელოსნოების დაარსებისა და ინსტრუქტორების გაგზავნის შესახებ. სახელოსნოების მოსაწყობად და ინსტრუქტორების მოსაწვევად საჭირო ფული საერობო თანხიდან უნდა გადაიდოს.

**✦ ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ექიმი ვახტანგ [illegible] წაიკითხავს ქართულად [illegible] ჰლექის შესახებ [illegible] თად აჩვენებს სურათებს.

✦ 26 აპრილს „როიალ ვიოს“ პროჟექტორის გამგემ რეიხარდმა მორიგე ბოქაულს განუცხადა, რომ პროჟექტორში მოსულ ტყავის ქარხნის პატრონს კარაპეტ ზარგარიანცს ყალბი ბილეთი აღმოაჩნდა და პროჟექტორში არ შეუშვითო. კარაპეტ ზარგარიანცმა პოლიციას განუცხადა, რომ აღნიშნული ბილეთი მან მიიღო მისი ძმის ავეტიქ ზარგარიანცისაგანაო. ამ უკანასკნელსაც გამოჰკითხეს და მან სთქვა, ვორონცოვის ხიდზე შემხვდა უცნობი, რომელმაც არტისტად გამაცნო თავი და 2 მ. 50 კ. ბილეთი მომყიდაო.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გამგეობის მდივნის თანამდებობაზე დანიშნოს ტფ. მოქალაქეთა მამასახლისად ნამყოფი სტეფანე დანდუროვი. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის გარდაცვალებულ ზედამხედველის ტერ-სიმონიანცის ნაცვლად გამგეობამ დანიშნა საქმის მწარმოებელი მარქარიანცი.

✦ 28 აპრილს, ღამის 11 საათზე, თეონა გინდიჩი ეტლით მისულა მიხეილის საავადმყოფოს შესავალთან და იქ რევოლვერით თავი მოუკლავს.

✦ 28 აპრილს დააპატიმრეს სარქისიანცი და გალუსტიანცი, რომელთაც თავიანთი ამხანაგი ატამ გეურქოვი სარდაფში მოუწვევიათ, ჯერ კარგად დაუთვრიათ და მერე ჯიბიდან ფული ამოუცლიათ.

✦ ისკანდერ ოღლის გაძარცვის განმზრახველთა მონაწილენი პავლე დოლბატოვი და ვალენტინ ორტალი პოლიციამ 28 აპრილს დააპატიმრა.

✦ 28 აპრილს ღამე დიდი ვანქისა და მუხრანის ქუჩის შესართავთან, შალამოვის ძველ შენობაში ჭერი ჩამოიქცა. არავინ დაშავებულა.

## უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

**სომხის კომიტეტის მოწოდება.**

ჟენევაში სომეხთა კომიტეტმა ადანაში მომხდარ ამბების გამო გამოაცხადა მოწოდება სახელმწიფოებისადმი, რომლებსაც კომიტეტი სთხოვს ოსმალეთის საქმეში ჩაერიენითო. („კ.“)

**ჩაერევიან თუ არა სახელმწიფოები**

დიპლომატთა წრეებში პეტერბურგში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხმამ, რომ შეიძლება ევროპის სახელმწიფოები ჩაერივნენ ოსმალეთის საქმეებშიო. ამბობენ, რომ თუ მცირე აზიაში არ შესწყდა უწესობება და ქრისტიანთ აკლება, სახელმწიფოები აუცილებლად ჩაერევიან და თითონ აღადგენენ წესიერებას ოსმალეთშიო. „რუსკ სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის უთქვამს ერთს გავლენიან რუს დიპლომატს: „სახელმწიფოები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერევიან საქმეში. უცხოეთის მთავრობები ნდობით უცქერიან ოსმალეთის ახალ წესწყობილებას და ამიტომ დააცდიან, რომ თითონ ოსმალეთის მთავრობამ აღადგინოს წესიერება. შესძლებენ თუ ვერა ახალგაზდა ოსმალები ველურ ქურთების დამორჩილებას და მცირე აზიაში უწესოების დათრგუნვას,—ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო თუ უცხო ქვეყნების რდომებს არა დაუშავდებათ-რა ოსმალეთში, მაშინ არა მგონია, რომ სახელმწიფოები ჩაერივნენ საქმეში.

**არეულობა მცირე აზიასა და მესოპოტამიაში.**

ქალ. მერსინიდან იუწყებიან 14 აპრილის თარიღით, რომ მთელს კილიკიაში რეაქციონერები განაგრძობენ სომხების აკლებას და მით სახლ-კარის დაწვასაო. აკლებას გადარჩენილი სომხები მშივრებს სწყდებიან, რადგან იმ მხარეში შიმშილი მძვინვარებს. შიმშილს ზედ დაერთო ყვავილის მოარული, რომელსაც შიმშილზე არა ნაკლები მსხვერპლი მიაქვს.

მთავრობამ მთელ ადანის ვილაეთში საალყო წესები გამოაცხადა. მერსინაში ყოველ დღე მოჰყავთ ჯარი და დაუყოვნებლივ ჰგზავნიან იმ ადგილებში, სადაც უწესოება ხდება.

მეჩითებში იპოვეს იარაღისა, საკვებ სურსათისა და საცერულების საწყობები.

არეულობა დაიწყო მდინარე ეფრატის გაღმა მხარესაც. ბაღდადიდან და ბასორიდან ცნობები მიიღეს, რომ მთელ მესოპოტამიაში ყველა ველური ტომი შეერთდა საერთო მტრის-ახალგაზდა ოსმალების წინაალმდეგ საბრძოლველადო.

მთავრობამ საჩქაროდ დააყენა თოფ-ქვეშ სათადარიგო ჯარის-კაცები და ახალგაზდა ოსმალელ აფიცრების უფროსობით გაგზავნა მესოპოტამიაში იქაურ აჯანყების ჩასაქრობად.

არზრუმსა და ვანში რეაქციონერი ძველი ოსმალები თავს ესხმიან შარიატის მტრებს—ახალგაზდა ოსმალებს და ლამის თვით მუსულმანებს შორისაც დაიწყოს სამოქალაქო ომი.

**ახალი სულთანი.**

თუ გაზეთებს დაუჯერებთ, ახალმა სულთანმა დაიბარა გენერალისიმუსი შევკეთ-ფაშა და დიდი ვეზირი ხილმი ფაშა და გამოუცხადა: მე ერთგულად დავიცავ კონსტიტუციას, მაგრამ თქვენც არ უნდა დაარღვიოთ ჩემი უფლებაო. მე, როგორც სულთანს, უფლება მაქვს ამნისტიისა და პატიებისა, ამიტომ ამას იქით არავინ არ უნდა დასაჯოთ სიკვდილით ჩემდა დაუკითხავადაო. ამბობენ, პრინც საბაჰ-ედინს დიდი გავლენა აქვს მაჰმად მეხუთეზეო.

ახალმა სულთანმა სახელმწიფოს დაუბრუნა აბდულ-ჰამიდის მამულები, სახლები, მადნები, სამრეწველო დაწესებულებები და ნავთის მდიდარი მადნები მესოპატამიაში, რომლის შემოსავალი აბდულ-ჰამიდის კერძო საკუთრებას შეადგენდა. ამას გარდა მაჰმად მეხუთემ თითონ დაიკლო ჯამაგირი: თვეში 25 ათას გირვანქას მაგივრად იგი აიღებს 20 ათას გირვანქას, ესე იგი თვეში 5 ათას გირვანქას, ანუ 45 ათას მანეთს მოიკლებს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აბდულ-ჰამიდი თვეში 50 ათას გირვანქას იღებდა ჯამაგირად, ხოლო პარლამენტის საფინანსო კომისიამ კონტრ-რევოლიუციის წინა დღეებში გაუნახევრა ეს ჯამაგირი.

---

ნათთლად და მწვავეთ, როგორც თავის გრძნობათა გამოთქმაში: ეს არის მთელი ტრაგედია კეთილშობილ სულისა, მხატვრულ ლიტერატურულ და მუსიკალურ შემოქმედებისა, რომელსაც სწადია გამოსთქვას გამოუთქმელი, გვამცნოს უცნაური, ორიგინალური გამოცდილება, დაგვანახოს უძვირფასესნი მარგალიტნი, მოგვასმენინოს უკეთილხმოვანესი სიმთა-ჟღერანი, დიად სულისა. ეს არის ბრძოლა ადამიანის მრავალ-ფეროვან ბუნებისა თითქო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ ენასთან, რომელიც ერთისა და იმავე სიტყვით ლამობს გამოჰხატოს ათასი და ათი ათასი ნაკვთი გრძნობათა მოძრაობისა. მთელი თანამედროვე მუსიკა ამ ტრაგედიის ღვიძლი შვილია: სად არის ამ ქვეყანაზე ენა, თუნდ უუძლიერესი და უუმშვენიერესი, რომელსაც შეეძლოს დაახლოვებით მაინც გამოსთქვას გრძნობათა და სულიერ მოძრაობათა ის მიუწვდომელი სიმფონია, რომელიც ბახმა და ბეეტჰოვენმა, შუმანმა და შოპენმა, ბრამსმა და გრიგმა თავიანთ მუსიკალურ შემოქმედებაში გამოჰხატეს? სად არის ადამიანი, თუნდ შექსპირისებრ გენიოსი, რომელიც შესძლებს სიტყვებით აღწეროს გრძნობათა ის მრავალ-მხრივობა, რომელიც მარტო ბეეტჰოვენის „მეცხრე სიმფონიაში“ ან ბახის „ქრომატიულ ფანტაზიაში“ იშლება? რომ ხმები ჰაერისებრ უბრალო მოძრაობა არ არის, არც „არითმეტიკული ვარჯიშობაა“, როგორც ლეიბნიცს ეგონა, რომ მახეში სცხოვრობს გრძნობა, სული მომთხრობი თავის ბედისა, კარგად იციან იმათაც, ვინც თავიანთ გრძნობის გამოსახატავად მხოლოდ სიტყვებს ხმარობენ:

ციური ხმები,
ეს საკვირველნი,
როს მომესმიან,
მსწრაფლ მომითხრობენ,
საიდან რბიან
და სად ცხოვრობენ
და ნელს სიხარულს
მიგალობებენ.

ადამიანის სული მუდამ შფოთი და მუდამ მაძიებელი ემოციონალურ შემოქმედების სფეროში კიდევ უფრო ორიგინალური და ნაყოფიერია ვიდრე ინტელექტუალურში. თვითეული ჩვენგანი, უბრალო მომაკვდავიდან იმათამდი, ვისი სახელიც უკვდავებას ეკუთვნის, სცხოვრობს თავის ინდივიდუალურ, გარდაუვალ და განუმეორებელ გრძნობათა ფარგალში, ჰქმნის თავისს საკუთარ, შეუდარებელ, ხშირად სხვებისათვის სრულიად გაუგებარს სიყვარულს და სიძულვილს, იმედს და სასოწარკვეთილებას, ჰმუნვარებას და მწუხარებას, თავმოყვარეობას და თავგანწირულებას. არ არსებობს ერთი და იგივე „გრძნობა სიყვარულისა“, როგორც არსებობს, მაგ., ერთი და იგივე წარმოდგენა წითელს ფერზე, ან დაახლოვებით ერთი და იგივე მეცნიერული ცნებანი ადამიანის, იმის ისტორიულ ბედის, დედამიწის, სამყაროს და უზენაესს არსების შესახებ: ეს სახელი ჩვენმა ღარიბმა ენამ უწოდა სულიერ მოძრაობის ერთს დიად ტიპს, მრავალ-მხრივს, როგორც თვით ადამიანის ბუნება, და უსაზღვროდ მრავალ-რიცხოვანს თავის გამოხატულებაში. და თუმცა არ არსებობს გრძნობის მსგავსი მეორე ზღუდე, რომელიც პიროვნებას მასავით გარდაუვალად აცალკევებდეს, მაგრამ მეორე მხრით არც ისეთი ძალა არსებობს, რომელსაც მასავით მჭიდროდ შეეძლოს პიროვნებათა ურთიერთშორის დაკავშირება. ესაა გრძნობის უცნაური მისტერია! ყველა ჩვენგანი გრძნობს მის ჯადოსნურ მომხიბლავ ძალას, როცა ჩვენი გული ათას სხვასთან ერთად ერთისა და იმავე სიყვარულით და ზიზღით, იმედით და სასოწარკვეთილებით სცემს. უდიდესი შემაკავშირებელი სოციალური ძალნი—კლასობრივი, ეროვნული, საკაცობრიო და სარწმუნოებრივი გრძნობანი აშკარად მოწმობენ ამ აზრს.

შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნებოდეს, რომ ადამიანს თავის გრძნობის გამოსახატავად და სხვისთვის გადასაცემად უფრო ელემენტარული და ინსტიქტიური, თან უფრო მეტყველი და გავლენიანი იარაღი აქვს, ვიდრე სიტყვები და ფრაზებია. ტანჯვისა და უბედურების საშინელებას ვერავითარი ენა ვერ გამოსთქვამს ისეთის მჭერმეტყველურის სიძლიერით, როგორც ის აუტანელი დუმილი, რომელიც წინ უძღვის გოდებას და მოთქმას ბედკრულ ადამიანისას. მორის მეტერლინკმა ხელოვნურად დაგვისურათა ეს ტრაგიზმი უსიტყვო მდუმარებისა თავის პატარა დრამაში: „იქ, შიგნით!“ თავის უკეთილშობილეს და უნაზეს გრძნობების გამოსახატავად ადამიანს ხშირად ჩვეულებრივი ფრაზები მეტის-მეტად შეუსაბამებლად და უხამსად მიაჩნია; თავის უძლურება გულისთქმათა და აფექტთათვის კი ის ვერ პოულობს შესაფერ სიტყვებს. მაშინ მისი სახე, მოძრაობა და გარეგნობა მოგვითხრობს იმაზე, რაც ენისთვის მუდმივ მიუწდომელია: ნაზი თრთოლა გამოუცდელ სიყვარულზე, გულის ცემა მღელვარებაზე, გაფითრება შიშზე, წარბების მოხრა სიამაყეზე, თვალების ალი და სახის ნაოჭები გულის წყრომაზე, ზიზღზე და სიძულვილზე. ამ მხრით ადამიანის სახის და განსაკუთრებით თვალების ნიჭი შეუდარებელია, მაგრამ სხვა ასოებსაც კარგად შეუძლია სულიერ მოძრაობათა გარეგნულად გამოხატვა: ცნობილ გერმანელ მხატვრის ა. ბეკლინის ერთს სურათზე „ქრისტეს დატირება“ (ბერლინის ნაციონალური გალლერეა) მიცვალებულ ქრისტეს დამტირალ ქალის სახე შავი ლეჩაქით არის დაფარული, მაგრამ ტანჯვისა და ვაების სიცხოველე აშკარად ხელებში სჩანს; ჰუნგრელ მხატვრის მუნკაჩის „ჯვარცმაზე“ (დრეზდენის მუზეუმი) იოანნე მოციქულის მწუხარება და სისაცოდავე თითქო ბეჭებიდან და ზურგიდან გამოიყურება; მიქელ ანჯელოს ცნობილ საეკკლესიო მხატვრობაზე „შექმნა ქვეყნისა“ (სიქსტინის კაპელლა) ღმერთის სიდიადე და სიძლიერე ხელების, სხეულის და ტანისამოსის მოძრაობაში უფრო სჩანს, ვიდრე სახეზე. **გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

# მოწერილი ამბები

**ბელაგორი.** „დროება“-ში უკვე აღნიშნული იყო, თუ როგორ უმსხვილდებიან ზოგიერთი აქაური ვაჭარ-ტონები იმ პირს, რომელიც გაჰბედავს და რაიმე მათ ცუდ მხარეს გამოამჟღავნებს. მუშტი, კრივი, ლანძღვა და გინება პირველ მათ საშუალებას შეადგენდა და დღესაც ამ ტაქტიკით ხელმძღვანელობენ. საუბედუროდ, ეს სენი აქაურ სამინისტრო სკოლის ზედამხედველსაც გადასდებია. ახლანდელი ზედამხედველი ორი წელიწადია, რაც აქ დაინიშნა და ამ ხნის განმავლობაში სკოლას არა ჰყოლია მოსამსახურე, თუმცა საზოგადოება 12 თუმანს იხდის მოსამსახურის დასაქირავებლად. ამის გამო ამ სკოლის მოწაფეები მოსამსახურის როლს ასრულებენ. ეს ფული რომ ისევ საზოგადოებას ხმარდებოდეს (მით უმეტეს, რომ სახლის ქირასაც კი იხდის საზოგადოება, რადგან რეაქციის შემდეგ, როგორც „დროება“-ში აღნიშნული იყო, სკოლა ნაქირავებ შენობებშია მოთავსებული), კიდევ ძალა-უნებურად გაუძლებდნენ ბავშვები სკოლების დაგვას, მტვერის ყლაპვას, წყლის ზიდვას და შეშის პობას, მაგრამ, რადაც განგების ძალით, ეს ფული სადღაც მიდის და ალაჰმა უწყის მისი ასავალ-დასავალი. ამის შესახებ ამ სკოლის მასწავლებლებს მოუთხოვნიათ ზედამხედველისათვის ანგარიში, რომ გაეგოთ, სად იხარჯება ფული, მაგრამ მას, არ მოსწონებია მათი „თავხედობა“ და ლანძღვა გინებას მოჰყოლია. საკვირველია, თუ რათა სწყინს ზედამხედველს მასწავლებლების სამართლიანი მოთხოვნა. რად ავიწყდება, რომ საზოგადოების წინაშე მასწავლებელნიც პასუხის მგებელნი არიან სასკოლო საქმეებში. წესიერი ანგარიში როგორც მას, ისე მასწავლებლებს პირნათლად გამოიყვანს საზოგადოების წინაშე და მით გააქარწყლებს იმ ეჭვებს, რომელიც დღეს ხალხშია შეპარული.

26 აპრილს აქ შეიკრიბა სკოლის შენობის აშენებელი კომისია. ამ დღეს უნდა მომხდარიყო საჯარო ვაჭრობა შენობის ასაშენებლად, მაგრამ რადგან მცირე მსურველი გამოცხადდა, 3 მაისისთვის გადაიდო.

აქაურ საავადმყოფოს გადატანას საჩხერეში უკვე შეუდგნენ. დღემდის უნდა გადაეტანათ, მაგრამ, რადგან აქამდის სახლი არ იყო მისთვის მზადაა გადატანა შეჩერდა. საცოდავ სურათს წარმოადგენდნენ საბრალო ავადმყოფნი, რომელნიც საავადმყოფოდან დაითხოვეს. ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ შემოდგომამდის მაინც დარჩენილიყო აქ საავადმყოფო? ამაზეა ნათქვამი: „სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირი“-ო. ექიმის პატივსაცემლად, რამოდენიმე პირის ინიციატორობით, აქაურებმა სადილი გამართეს. სასურველი კი იყო, რომ ექიმისადმი პატივის ცემა, სადილის მაგიერ, სხვა სიმპატიურ საქმით აღნიშნულიყო. **რისხვა.**

---

**ხონი.** აქეთ ამ დღეებში მოხდა სამი კრება ინტელიგენციისა. პირველ კრებაზე დაადგინეს, გამართონ საცეკვაო სადამო, რომლის შემოსავალიც გარდაეცემა აკაკის ფონდს. დაადგინეს აგრეთვე ზაფხულისთვის მოიწვიონ ლექტორი, რომელიც გააცნობს ხალხს აკაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მეორე კრებაზე ლაპარაკი იყო სახალხო სახლის საჭიროებაზე. ბევრი ილაპარაკეს და ბოლოს აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს ფულის შეკრება სახალხო სახლის შენობის ასაგებად.

მესამე კრება გამოიწვია აკაკის კერძო წერილმა, რომელიც უთვლიდა კერძო პირს, ფიქრობთ კიდევ თუ არა ჩემს მოწვევასო. დიდხანს ილაპარაკეს. ბევრმა სთქვა, აკაკი გატეხეთ, აი დღეს, აი ხვალაო, მაგრამ კი არ მოვიწვიოთო. ბოლოს კრებამ აკაკის მოწვევა შეუძლებლად ცნო. დაადგინეს, გაგზავნონ ორი კაცი ბოდიშის მოსახდელად. დაადგინეს აგრეთვე, თუ მოხერხდა მოიწვიონ 7 ან 6 მაის ლექტორები გრ. რობაქიძე და ვ. გედეიშვილი. ხალხთ ფონდის გასაძლიერებლად-კი გამართონ საცეკვაო საღამო. საცეკვაო საღამოს გამართვა იკისრა ხონის ქალთა წრემ. თუ ლექტორების მოწვევა არ მოხერხდა 6 ან 7 მაის, გადაწყვიტეს ზაფხულში მაინც მოიწვიონ. მოწვევა დაევალა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას, რომელსაც, როგორც გავიგე, უკვე გაუგზავნია მოწვევის ბარათები ლექტორებისათვის.

წერა-კითხვის საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ უკვე დაიწყო მოქმედება. განყოფილება ფიქრობს, შემდეგისათვის გახსნას წიგნის მაღაზია და მის შემოსავლით უზრუნველ-ჰყოს სამკითხველოს გაჭირვებული მდგომარეობა. ამ საზოგადოებას თავმჯდომარეობს ა. ჭიჭინაძე; თავმჯდომარის ამხანაგად გამგეობის წევრებმა ამ დღეებში აირჩიეს ივანე შარაშენიძე.

სააღდგომოდ აქეთ დიდი თოვლ-ჭყაპი და ყინვები იყო. გვეგონა, ერთიანად გააფუჭებდა ვენახებსა და მცენარეულობას მაგრამ, როგორც ეხლა სჩანს, არავითარი ვნება არ მოუტანია არც ვენახისათვის და არც მცენარეობისათვის, რადგან შემდეგმა კარგმა დარებმა და და ამინდებმა გამოაკეთეს.

მინდვრად უკვე გავიდნენ სამუშაოდ. იწყეს თესვა სიმინდისა.

ხონელებმა 23 აპრილს გიორგობა იციან. წინად ამ დღეებში ყოველთვის წარმოდგენა იმართებოდა, წელს კი უწარმოდგენოდ ჩაატარეს ხონელებმა დღეობა. **ერთი.**

# რუსეთი

**სინოდი და სოციალიზმი.** როგორც ჩვენ ვწერდით სინოდმა 20 აპრილს მოისმინა დეკანოზ ვოსტორგოვის და მისიონერ აივაზოვის მოხსენება სოციალიზმის შესახებ. გაზ. „რეჩში“ ვრცლად არის მოყვანილი ვოსტორგოვის მოხსენება. მოვიყვანთ მოკლედ. ვოსტორგოვი თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება სოციალიზმის და კერძოდ სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრების გავრცელებას რუსეთში და ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატია 17 ოქტომბერის მანიფესტის შემდეგ უფრო გაძლიერდაო. «სოციალ-დემოკრატებმაო, სწერს ვოსტორგოვი, იმდენა ლიტერატურა გაიტანეს ხალხში, რომ მაგალითად მე, როდესაც 1905 წელს ციმბირიდან ვბრუნდებოდი, მატარებელში რამდენიმე ასი სოციალისტური ბროშიურა მოვკრიბე, ბროშიურებს უფასოდ იძლეოდნენ და ვაგონის იატაკი სულ მოფენილი იყო. ამის შემდეგ ვოსტორგოვი განაგრძობს; „სასულიერო პირებს რევოლუცია მოულოდნელათ დაატყდა თავზე. სოციალიზმის მოწინააღმდეგეებს ძალიან ცოტა ლიტერატურა გვაქვს. ასე განსჯით სასულიერონი პირნიც კი სოციალ-დემოკრატების მომხრეები აღმოჩნდნენ, მაგალ., როგორც არქიმანდრიტი მიხაილი, რომელმაც განაცხადა, რომ მტკერის ქრისტიანულ სოციალიზმის მომხრე ვერ ვიქნები; მე სოციალ-დემოკრატების მოძღვრების მომხრე ვარო. ერთ საღვთისმეტყველო ჟურნალში ვკითხულობთ, რომ იოანე ოქროპირი (Златоустъ) სოციალისტი იყო და თავის მოძღვრებით კარლ მარქს წააგავსო“. ასეთი მეხედულება ქრისტეზე, ჭეშმარიტებასაა მოკლებული. სოციალიზმი ფლიდური, უზნეო და სარწმუნოების წინააღმდეგი მოძღვრებაა. სოციალიზმის საზარებით გამართლება ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს. ეკლესიამ უნდა გაავრცელოს ქრისტეს მოძღვრება, სოციალიზმის წინააღმდეგ უნდა იმოქმედოს: ეკლესიამ მდიდრების წინააღმდეგ ღარიბები კი არ უნდა აამხედროს და შეამულოს იგინი, არამედ ცრემლი ღვაროს მათ გულქვაობის გამო“. თითქმის ამავე აზრისაა მეორე მოხსენებელი, მისიონერი აივაზოვი. ორთავეს აზრით საჭიროა, რომ მღვდლებმა თავიანთ მრევლს უქადაგონ ქრისტეს მოძღვრება და სოციალიზმის უსაფუძვლობა დაუმტკიცონ, ამას გარდა ქარხნებთან უნდა დაარსდეს სამკითხველოები, კაგმირები, თავშესაფარები, საავადმყოფოები, სკოლები და სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი. ამის კანონპროექტის შემუშავება მიუნდვიათ ვოლინის ეპისკოპოს ანტონისთვის.

**ხოლმშინის გამოყოფის წინააღმდეგ.** როგორც ვიცით სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ კანონპროექტით ხოლმშინა პოლონეთს უნდა გამოეყოს და მიემატოს კიევის გუბერნიას. ამ კანონპროექტს დაჟინებით მემარჯვენეები იცავენ. «რეჩის» სიტყვით ლვოვის ქალაქის საბჭოს ამის შესახებ შემდეგი რეზოლუცია გამოუტანია: „პოლონეთის ხალხს ახალი უბედურება მოელის, მას ახლად უპირებენ გაყოფას. რუსეთის მთავრობას აზრათ აქვს პოლონეთის მხარეს მისი ნაწილი—ხოლმშინა—ჩამოაშოროს და ხოლმშინაში სხვა და სხვა შემავიწროვებელი კანონები შემოიღოს. ჩვენ, გალიციის სატახტო ქალაქის სახელით, ღრმა პროტესტს ვაცხადებთ და მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ დაწესებულებებს და ძალებს მხარი დაგვიჭირონ, რომ როგორმე ხელი შეუშალოთ პოლონეთის ახალ განაწილებას“.

**ვიტტეს მოკვლის განზრახვა.** როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის გრაფ ვიტტეს მოკვლა განზრახული ჰქონდათ მაგრაზმელ კაზანცევს და მეშა ფედოროვს, მათ მის სახლის ბუხარში ჯოჯოხეთის მანქანებიც კი ჩააწყვეს და რამდენჯერმე ყუმბარის ხროლაც კი უნდოდათ, მაგრამ ყველაფერმა ამან უქმად ჩაიარა. „ნოვოე ვრემია“ სხვა ფაქტებსაც გადმოგვცემს. სხვათა შორის ვიტტეს მოკვლა განუზრახავთ საზღვარ-გარედ, ქალაქ ჰამბურგში. ეს იმ დროს ყოფილა, როდესაც ვიტტემ პრემიერ-მინისტრობას თავი დაანება და საზღვარ-გარედ წავიდა. საქმე ასე ყოფილა: ვიტტე ჰამბურგიდან ავტომობილით ქალაქ სოდენში დაიარებოდა, სადაც მას ერთი მეგობარი ჰყავდა. ერთხელ მას შეუმჩნევია, რომ მას ვილაცებიც თვალ-ყურს ადევნებდნენ. ვიტტეს გამოუძიებია და აღმოჩენილა, რომ მას პოლიციელები ადევნებდნენ თვალ-ყურს. საქმე იმაშია, რომ გერმანიის პოლიციას ხელში ჩავარდნია ვინმე რევოლიუციონერის როზ—ის წერილი. წერილი მიწერილი იყო რევოლიუციონერ გოცთან და ეწერა, რომ თუ საჭიროა ვიტტეს მოკვლა მითხარი, და ადვილათ შევასრულებ სოციალისტ-რევოლიუციონერების სურვილსაო. მეო, სწერდა როზ—ი ჭლექით ვარ ავად, სულ რაღაც ორი თვის სიცოცხლე დამრჩენია და ამ ორ თვეს სიხარულით შევსწირავ პარტიასო. გოცი ამ დროს საავადმყოფოში იწვა და აქ მიუღია. ეს წერილი. მას აპერაციას უკეთებდნენ, რის დროს გარდაიცვალა. წერილი წაუკითხავი დარჩა. სხვა ნივთებთან ერთად ეს წერილი საავადმყოფოს ადმინისტრაციამ პოლიციას გადასცა. წერილი, სხვათა შორის, იმპერატორ ვილჰელმსაც კი წაუკითხავს და მახვე გაუცია ბრძანება სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური, რომ რუსეთის ყოფილი პრემიერი არ მოჰკლანო. ამრიგად ვიტტე სულ უბრალო შემთხვევამ გადაარჩინა. რევოლიუციონერმა როზ—მა რაკი პასუხი არ მიიღო თავი მიანება თავის განზრახვას. გერმანიის პოლიციამ იგი მალე გერმანიიდან გაამევა.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ეკატერინოსლავში 2, ელისავეტოგრადში 1, ოდესაში 2, ვარშავაში 1, პეტერბურგში 1, ტომსკში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში 1, ბაქოში 1. ვარშავაში 1, კამენეც-პოდოლსკში 2, იურიევში 1, ნოვოროსიისკში 1, უფაში 4 კაცი.

**ზიკოვის რუსეთის ისტორია.** „რუსკ. ვედ.“ სიტყვით სახელმწიფო დაცვის კომისიისთვის გადუციათ ზიკოვისგან შედგენილი რუსეთის ისტორია. სამინისტროს საჭიროდ დაინახა, რომ ეს ისტორია სალდათებში გავრცელებულიყო და კიდეც გამოსცა შესაფერი ბრძანება. ამ ისტორიაში, სხვათა შორის, შემდეგი სურათია მოთავსებული: სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე ებრაელია. ებრაელი მასხრულად არის დახატული. იგი რაღაზედაც გაცხარებით ლაპარაკობს. სკამზე სხედან არა რუსები. ესენიც მასხრულად არიან დახატულნი. ამ სურათს შემდეგი წარწერა აქვს: «სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ლაპარაკობს, ხრულებით საჭირო არ არის, რომ რუსეთი გვიყვარდეს, პირიქით სულ უნდა მოისპოს სახელწოდება «რუსეთის ქვეყანაო».

**რამდენი კაცი გარდაიცვალა პეტერბურგში 1908 წელს.** პეტერბურგის ქალაქის საბჭოს სტატისტიკურ ბიუროს ცნობით გასულ, 1908 წელს პეტერბურგში გარდაცვლილა 44,311 კაცი. აქედან ბავშვები (1 წლიდან 5 წლამდის) გარდაცვლილან 19.487, ე. ი. 44% მთელ გარდაცვალებულებისა.

**გურკო.** რუსეთის გაზეთების სიტყვით ცნობილ გურკოს, რომელსაც „გურკო-ლიდვალიასის პროცესის“ გამო ზოგიერთი უფლებები ჩამოართვეს, ჩამორთმეულ უფლებებს უბრუნებენ და სახელმწიფო საბჭოს წევრად ნიშნავენ.

**ვექილის ცემა.** „რეჩის“ სიტყვით ცნობილ ვაჭარს ტერეშჩენკოს ვექილისათვის უცემია. საქმე ამნაირად ყოფილა; ვაჭრისთვის უჩივლია ერთ კაცს. ამ ვაჭრისთვის ერთი წლით სატუსაღო გადაუწყვეტიათ. ტერეშჩენკო გაბრაზებულა და მოპირდაპირე მხარის ვექილისთვის უცემია.

**საპროტესტო მიტინგი.** „რეჩს“ ლვოვიდან ატყობინებენ: ქალაქის საბჭოს სადგომის ახლო მცხოვრებლებმა მიტინგი გამართეს. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც პროტესტს აცხადებს პოლონეთიდან ხოლმშინის ჩამოშორების შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ დაბეჭდოთ ანგარიში აკაკი წერეთლის იუბილეისა ქ. ბათუმში.

შემოსავალი: შემოწირულებანი სიაში მოხსენებულ სხვა და სხვა პირთაგან 447 მ. 95 კ.; პოეტის სურათებისა და ღია ბარათების გაყიდვით 25 მ.; ბათუმის სკოლის კომიტეტისაგან 107 მ. 70 კ. სულ 580 მ. 65 კ.

ხარჯი: სამი დელეგატის ვასამგზავრებლად საიუბილეო დღესასწაულზე ტფილისში ნ. დ. ქიქოძისას 40 მ., სერ. ყუმბარაძეს—30 მ. და რაფ. რამიშვილს—30 მანეთი; აკაკის გადაეცა აქ ყოფნის დროს 300 მ., ბროშიურები, ღია ბარათები და სურათები 40 მ. 25 კ., ოქროს ბეჭედი ადრესისთვის 16 მ. 25 კ., ადრესის დასაბეჭდათ შაევსკის 4 მ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 19 მ. 90 კ., წერა-კითხვის გამავ. საზოგ. აკაკის ფონდ. გასაძლიერებლად 100 მ. 35 კ. სულ 580 მ. 75 კ.

შემოწირულებანი (ქალების მიერ შეგროვილი ფული): საბაევისა 10 მ., მხეიძისა 5 მ., ელ. თუმანიშვილისა 5 მ., კნ. გელოვანისა 5 მ., კაკაბაძისა მარ. 10 მ., ემილია ნაზაროვისა 5 მ., ივლიტა ჩხიკვაძისა 5 მ., ც. საბახტარიშვილისა 5 მ., ნინო ბერძენიშვილისა 5 მ., ეკ. ბერძენიშვილისა 5 მ., პელაგია ლომინაძისა 5 მ., თ. მგელაძე 5 მ., ანდრ. მენაბდე 5 მ., ქიქოძისა ნინო 5 მ., ქატო კახიანისა 5 მ., მ. თაყაიშვილი 5 მ., ე. ელიაშვილი 3 მ., კლდიაშვილი 3 მ., ნ. მღებროვისა 3 მ.. ქეთ. გუგუშვილისა 3 მ., კურტოევისა 5 მ., აბესაძისა ივლ. 3 მ., ლომინაძე 3 მ., ალ. გვარამაძისა 3 მ., სოფ ყაზაშვილისა 3 მ., გოთოშია 2 მ., ჯაველაძე კ. 1 მ., სამს. ელიაშვილი 5 მ., გ. დ. ელიავა 5 მ., წულუკიძე 1 მ., ჟურული გ. 3 მ., ანდრო დეკანოზიშვილი 3 მ., ომერ-აგა-მამედ-აგა-ზადე 5 მ., ბეთანოვი ა. 3 მ., თავად ჭავჭავაძე 5 მ., მილმანი 1 მ., ალ. დეკანოზიშვილი 2 მ., კტიაშვილი გ. 2 მ., ნ. ელიაშვილი 2 მ. ნოე სიხარულიძე 2 მ., ნიკ. თოფურიძე 3 მ., ზილბერმან 1 მ., მ. მჟავანაძისა 5 მ., თ. თუმანიშვილისა 1 მ., მეგოვარიანი 2 მ., მუშეგოვი ალ. 5 მ., თემურ-ბეკ-ადუარსკი 5 მ., აკინიანი ან. 2 მ., ელიაძე და ქანტურია 1 მ. 50 კ., მიხაილიდი 1 მ., გალუსტოვი 2 მ., კესის-ოღლი 3 მ., ხუნგია გ. 1 მ. ფილიპოვი 2 მ, წინამძღვარიშვილი 1 მ. ძმ. აკინიანი 1 მ., ეო. ჩხიკვაძე 50 კ., კალაიდჯოვი 1 მ., იოსებ ნ. 1 მ., ალ. T. 40 კ., მჭედლოვი 50 კ., კალატოზოვი 25 კ., აკაიშვილი T. 20 კ., გვასალია 20 კ., გორგაძე 25 კ., მდოგნაძე 50 კ., პარმენ ელ. ხონელია სოლ. 1 მ., ქანთურია 10 კ.. 50 კ. გაგუა 1 მ., ლაზარე სან —ძე 30 კ., ზაქარაძე მელ. 10 კ., კორჩილავა ივ. 1 მ., საბაევი ვ. 50 კ., ლომთათიძე გიორ. 50 კ., ჩხიკვაძე 1 მ., გიორგაძე 50 კ., გვეთონიძე 35 კ., რათიანი კ. 10 კ., მაბაჯანიშვილი ნ. ვ. 2 მ., ხეჩინოვი რ. 2 ბერძენიშვილი 1 მ. ებრალიძე 50 კ., ქარცივაძე 3 მ., ხუნგია 2 მ., კვიტაიშვილი სამ. 5 მ. ჩხატარაშვილი ს. 3 მ., ანდარბეკ 1 მ., მეგრელიშვილი 1 მ., ხუსეინბეკ-ბ.-ზადე 1 მ., ჭელიძე ს. 50 კ., ნორაქიძე მ. 50 კ., კოხრეიძე 2 მ., სალაძე გ. 40 კ., პავლე ნ. 50 მ., მემანიშვილი 30 კ., ძაში №№ 50 კ., ჯვახია 25 კ., დოთელრაძე 20 კ., ლიო მინაძე 10 კ., კოხრეიძე 50 კ., გოგოშიძე 50 კ., ტერმიკელიან 1 მ., ზედაშიძე 40 კ., დოგიაშვილი 20 კ., სანიკიძე 20 კ., კვაჭანტირაძე 1 მ., კოლა 50 კ., ჩხეიძე 40 კ, ტუსკია 20 კ., ხანთობაძე 20 კ., ჯიქია 40 კ., გორდელაძე მაკ. 3 მ., ხალვაში 3 მ., იმნაძე სერგო, გეგენავა ილიკო 50 კ., გორდაძე ალ. 50 კ., შარვაშიძე ნეკიზ. 1 მ., ნადარიშვილი 50 კ., სადრაძე 50 კ., თავდიშვილი 1 მ. იოსავა ლევანი 20 კ., ხარათმა 20 კ., სანიკიძე 20 კ., გიგინეიშვილი ვრ. 1 მ., გურთოშვილი 2 მ., ყაზაიშვილი 1 მ., თომა № 1 მ., ჩაჩუა ლოლუა ე. 50 კ., დავითაშვილი 1 მ. 50 კ., ბერძენიშვილი ს. 20 კ. ერძენიშვილი ვ. 20 კ., ბერძენიშვილი. საშა 10 კ., ბერძენიშვილი დათიკო 10 კ., ბერძენიშვილი მიშა 10 კ., ბერძენიშვილი აკაკი 10 კ., აღნიაშვილისა მარიამ 1 მ., ბერძენიშვილისა თამარა 10 კ., ბერძენიშვილისა სოფო 10 კ., პეტენავა ლევანი 1 მ., მიქაძე ალ. 2 მ, მგელაძე ეგლარი 1 მ., ღოლობირიძე 50 კ., ელიავა კოტე 1 მ., №№ 50 კ., №№ 1 მ., ტატიევისა კატო 3 მ., ბორჩხაძე ნ. 50 კ., ჩხეიძე ს. 50 კ., მიხაილიდის ნ. 2 მ., ნიჟარაძე ს. 5 მ., ნიკურაძე მ. 1 მ., შარაშიძე კ. 1 მ., ქარცივაძე ს. 2 მ., ბასიტაშვილისა ნინო 5 მ. მარიამ გიგინეიშვილისა 5 მ., ევერ. ხოროშანსკი 5 მ., ტერეზ. მაჭავარიანისა 1 მან., ტ. შავიშვილი 50 კაპ., ნინა ქადეიშვილისა 50 კაპ., მ-ნა ნიკოლაძისა 1 მან., ალათი ქინქლაძისა 3 მ., ეკატერ. მავროპულო 1 მ., ნადეჟდ. ბერეჟანისა 3 მ., ეკატ. თავართქილაძისა 50 კ., დიმიტ. ჩხაიძე 1 მ., მატრ. გედევან-ძისა 1 მ., ალექ. ბერიშვილისა 1 მ., ილ. გურგენიძისა 3 მ., ან. ჭ ნჭარაძისა 50 კ., ნეს. პეტრიაშვილისა 5 მ., ეკ ტ. და ივანე მესხი 3 მ., იმნაძე 1 მ., ნ. იმნაძე 1 მ., მ. იორაშვილისა 50 კ., ისმაილ ეფენდი ლორთქიფანიძე 1 მ., ატატო კაკაბაძისა 2 მ, კართლინა მჭედლოვისა 3 მ, ია დიმიტრიევი 1 მ., ლუკა ჩხენკელი 2 მ., ვიკ. გრიელსკი 2 მ., მანთაშევი და ამხ. 10 მ., ისაკ ეფენდი ხალვაში 2 მ., ალექ. სიხარულიძისა 1 მ., შალვა ჭყონია 2 მ., ნ. №. 1 მ., ელევტერიადი 1 მ., მანუილიდი 1 მ., ა. დიმიტრიადი 1 მ., ა. დავ. 1 მ., ხარბელიძე 1 მ 50 კ., კ. ანდრიადი 10 კ., მიხაილიდი 50 კ., აზოიანც 15 კ., იასლოვი 40 კ., დ. კანდელაკი 5 მ, ვ. კოპალაძე 3 მ., თავ. დ. აფაქიძე 2 მ., ვ. გუნცაძე 2 მ., ს. იაბლონსკი 2 მ., კ. ელიაშვილი 2 მ, ი. დავიდოვი 2 მ, მხეიძე 2 მ., მენადარიშვილი 50 კ., ბესტავაშვილი 3 მ., ე. ე. 50 კ., მეფისოვი 1 მ., ნაზაროვისა 1 მ., ბაბ. მდივანი მ., ფატი თავართქილაძისა 3 მ., მარ. დავიდოვისა 40 კ., X. X. 50 კ.. მ. ხომერიკი 1 მ., ნ. აღნიაშვილი 1 მ.. ფ. ენუქიძისა 3 მ., ლილუაშვილი 1 მ., ნადია რუხაძისა 1 მ., ნინა რუხაძისა 1 მ., Паша Карахасанъ 2 მ., ნოე კახიანი 1 მ., ილიკო ხარაბაძე 50 კ., იასონ გაბუნია 1 მ., ივანე წილოსანი 1 მ., ვასო გაბელია 1 მ., ოლინკა მიქაძე 2 მ., ივლიანა პატარიძე 1 მ., ოლღა მებუკისა 50 კ., ნინა აბაშიძე 1 მ.. ოლღა ქემოკლიძისა 3 მ., მაშო გაბუნია 3 მ., ვერა კახიანისა 3 მ., ნესტორ ბეჟუაშვილი 3 მ., ალექსანდრე ჩუბინიძე 1 მ., ალექსანდრე შენგელია 1 მ., ელენე ნარაკიძისა 1 მ., სტეფანე თაქთაქიძე 1 მ., გ. ნიკიტინი 3 მ., სეფორე ქუთათელაძისა 1 მ., მიხა დავიდოვი 1 მ., ვ. მაჭარაძე 1 მ., ვანო გოგიბერიძე 1 მ., ანასტასი სარიშვილისა 1 მ., იასონ კახიანი 50 კ., ვიქტორ ყვანია 50 კაპ ., კიტა გიგაშვილი 50 კ., ვლადიმერ რუხაძე 5 მ., დავით ჯოჯუა 1 მ , გრიგორ მოსიძე 1 მ., იოსებ ძნელაძე 50 კ., მაგდალინა ქარცივაძე 1 მ., სულეიმან ხადილოღლი 50 კ., სულეიმან ხასანოღლი 50 კ., ევგენია კოპცოვა 1 მ , ბორის ცვიკი 1 მ., Мармаріонъ 50 კ , ქაიხოსრო სარიშვილი 50 კ.

კომიტეტის წევრნი: **ან. დეკანოზიშვილი, პ. გამყრელიძე, გ. ჟურული, ალექ. გვარამაძისა.**


**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანის**

დაარსებულია 1880 წელს.

([illegible])

[illegible]

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—76)

**ტფილისის სათ.-აზნაურო სადგილ-მამულო ზედამხედველო**

# კომიტეტი

ამით აუწყებს ბ-ნ რწმუნებულთ, რომ 1909 წლის 23 მაისისთვის დანიშნულ ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებაზე **მოხდება არჩევნები** ამ ბანკის გამგეობის წევრისა, ნაცვლად 21 აპრილს გარდაცვლილ ვ. ა. სულხანიშვილისა. (3—უ.—3)

# მოსამსახურე ქალი

ძალიან გამოცდილი. შეიძლიან დავრდომილ ავადმყოფთა მოვლა, სარეცხი, ოჯახის მოვლა, დასუფთავება და საზოგადოდ ყველა ოჯახური საქმის შესრულება. მალაკნის ქ., სახლი სარქისოვისა, № 27. იკითხეთ დიანოზ ფუცხვანიძე. (1—129—1)

# სამაჩაბლო-თხინვალის

## ადგილების მყიდველის საყურადღებოდ

ამ წლის 27 აპრილს გაუთავდა ვადა ბ-ნთ მაჭავარიანსა და გელოვანს, რომელნიც ჰყიდნენ ამ ადგილებს. ახლა მამულის პატრონნი ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ამ ადგილების მყიდველთ უნდა მიმართონ ჩვენ რწმუნებულს დავით წულუკიძეს (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა, № 153).

**გიორგი ხიმშიაშვილი.**

**ოპეკუნი მ. დიასამიძე.**

(3—233—1)

**დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში**

# ახალი არსენას ლექსი.

ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.

წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდავებს % მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“. (10—6.—5)

ამიერ-კავკასიის საქარხნო

საწყობი

1897 წ. 1908 წ. 1888

# ამ-ბის პროვოდნიკისა

ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## საამშენებლო შენობისთვის ჰყიდის

## პროვოდნიკ-ლინოლეუმს

საუკეთესო დასაგებია იატაკებისთვის

**ლინოლეუმი მაგიერობასა სწევს:** პარკეტისას, იატაკის შეღებვისას, მოზაიკისას, ხალიჩებისას, ფარდაგებისას, კლიონკისას და სხ.

**ლინოლეუმი სჯობია** იატაკის ყოველ გვარ დასაგებს იმით, რომ ინახავს იატაკს სინესტისა და სიცივისაგან, წყალს არ უშვებს, არ ხეხავს, არა ფუჭდება მჟავე სითხისაგან, ხმაურობას არ უშვებს, ადვილად იწმინდება და ყოველთვის ლამაზია.

**ლინოლეუმს**, როგორც იაფ დასაგებს, სიმკვიდრით, მოხერხებულობით და სილამაზით პირველი ადგილი უჭირავს იატაკის დღემდე არსებულ დასაგებებში, **რასაც მოწმობენ საჩუქრები და ქების ფურცლები, მიღებული ამხანაგობის მიერ როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის გამოფენებზე.**

ხარჯთ-აღრიცხვა და უზორები **ლინოლეუმისა** იგზავნება პირველ მოთხოვნილებისათანავე.

(7)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.